

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	7
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	18
5. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები.....	19
6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი.....	19
7. სხვა შემოსავალი, წმინდა.....	19
8. ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	20
9. გადასახადები.....	20
10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	21
11. გაცემული სესხები	21
12. სხვა აქტივები	23
13. ძირითადი საშუალებები.....	23
14. ინვესტიციები.....	23
15. მიღებული სესხები	24
16. საწესდებო კაპიტალი.....	24
17. პირობითი ვალდებულებები	25
18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	25
19. კაპიტალის მართვა.....	28
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	29
21. ბალანსის შემდგომი მოვლენები	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის (შემდგომში - „ჯგუფი“) თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის“ აბზაცში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დაგვიქირავეს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც მე-2 შენიშვნაშია განმარტებული, ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“ ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა ჯგუფი ჯერ კიდევ აფასებს აღნიშნული სტანდარტის შესაძლო ეფექტს და ფინანსურ ინსტრუმენტების აღრიცხვას ბასს 39-ის მიხედვით აგრძელებს. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა შესაძლო საჭირო კორექტირების ეფექტი აღრიცხულ ან აღურიცხავ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებზე.

ჩვენ არ ვიყავით დანიშნული ჯგუფის აუდიტორად 2017 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად, ვერ დავესწარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სალაროს ნაშთის ინვენტარიზაციას, რომელიც აღნიშნული თარიღისთვის შეადგენდა 159,207 ლარს. ალტერნატიული მეთოდებით ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულება სალაროში აღნიშნული ნაშთის არსებობაზე. შესაბამისად, ვერ შევძელით განგვესაზღვრა სალაროს ნაშთთან დაკავშირებული შესაძლო საჭირო კორექტირების ეფექტი ფულისა და ფულის ეკვივალენტების მუხლსა და კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებზე.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. თუმცა, მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ამსახველ აბზაცში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

17 ივნისი 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის (შემდგომში - „ჯგუფი“) თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის“ აზრად აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დაგვიქირავეს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც მე-2 შენიშვნაშია განმარტებული, ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“ ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა ჯგუფი ჯერ კიდევ აფასებს აღნიშნული სტანდარტის შესაძლო ეფექტს და ფინანსურ ინსტრუმენტების აღრიცხვას ბასს 39-ის მიხედვით აგრძელებს. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა შესაძლო საჭირო კორექტირების ეფექტი აღრიცხულ ან აღურიცხავ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებზე.

ჩვენ არ ვიყავით დანიშნული ჯგუფის აუდიტორად 2017 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად, ვერ დავესწარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სალაროს ნაშთის ინვენტარიზაციას, რომელიც აღნიშნული თარიღისთვის შეადგენდა 159,207 ლარს. ალტერნატიული მეთოდებით ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულება სალაროში აღნიშნული ნაშთის არსებობაზე. შესაბამისად, ვერ შევძელით განგვესაზღვრა სალაროს ნაშთთან დაკავშირებული შესაძლო საჭირო კორექტირების ეფექტი ფულისა და ფულის ეკვივალენტების მუხლსა და კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებზე.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. თუმცა, მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ამსახველ აბზაცში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

17 ივნისი 2019

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	6	1,573,850	1,228,080
საპროცენტო ხარჯი	6	(273,948)	(232,686)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		1,299,902	995,394
სესხების გაუფასურების რეზერვი	11	(636,794)	(10,934)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		663,108	984,460
სხვა შემოსავალი, წმინდა	7	343,513	274,336
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	8	(819,733)	(738,943)
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობებიდან		(106,460)	(115,086)
მოგება დაბეგვრამდე		80,428	404,767
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(28,438)	(68,164)
მთლიანი სრული შემოსავალი		51,990	336,603

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 17 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

უფლებამოსილი პირი _____ ნათია ოსეფაშვილი

მთავარი ბუღალტერი _____ ალექსანდრე ხასია

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	6	1,573,850	1,228,080
საპროცენტო ხარჯი	6	(273,948)	(232,686)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		1,299,902	995,394
სესხების გაუფასურების რეზერვი	11	(636,794)	(10,934)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		663,108	984,460
სხვა შემოსავალი, წმინდა	7	343,513	274,336
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	8	(819,733)	(738,943)
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობებიდან		(106,460)	(115,086)
მოგება დაბეგვრამდე		80,428	404,767
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(28,438)	(68,164)
მთლიანი სრული შემოსავალი		51,990	336,603

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 17 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

უფლებამოსილი პირი



ნათია ოსეფაშვილი

მთავარი ბუღალტერი



ალექსანდრე ხასია

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	935,335	804,062
გაცემული სესხები	11	4,347,355	4,440,745
სხვა აქტივები	12	218,953	196,575
ძირითადი საშუალებები	13	61,574	53,515
არამატერიალური აქტივები		50,026	22,157
ინვესტიციები	14	197,054	197,054
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		-	43,479
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	9	100,385	34,712
სულ აქტივები		5,910,682	5,792,299
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	2,543,163	2,428,655
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		16,080	-
სხვა ვალდებულებები		48,158	8,937
სულ ვალდებულებები		2,607,401	2,437,592
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	1,522,940	1,242,940
გაუნაწილებელი მოგება		1,780,341	2,111,767
სულ კაპიტალი		3,303,281	3,354,707
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,910,682	5,792,299

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	1,242,940	1,798,848	3,041,788
დივიდენდები	-	(23,685)	(23,685)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	336,604	336,604
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	1,242,940	2,111,767	3,354,707
საწესდებო კაპიტალის ზრდა	280,000	-	280,000
დივიდენდები	-	(383,416)	(383,416)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	51,990	51,990
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1,522,940	1,780,341	3,303,281

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	80,428	404,767
კორექტირებები:		
სესხების გაუფასურების ხარჯი	636,794	10,934
ცვეთა და ამორტიზაცია	30,852	27,675
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება	(1,299,902)	(995,394)
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობებიდან	106,460	115,086
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	(445,368)	(436,932)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:		
გაცემული სესხები	(739,985)	(563,003)
სხვა აქტივები	(22,388)	(96,185)
სხვა ვალდებულებები	39,191	7,240
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	(1,168,550)	(1,088,880)
მიღებული პროცენტი	1,782,770	1,222,000
გადახდილი პროცენტი	(289,176)	(238,927)
გადახდილი მოგების გადასახადი	(34,350)	(100,121)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	290,694	(205,928)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(30,225)	(21,364)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(36,555)	(9,000)
ინვესტიციები	-	(137,054)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(66,780)	(167,418)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
სესხების მიღება	3,027,177	1,944,591
სესხების გადახდა	(2,994,718)	(1,210,663)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	280,000	-
დივიდენდების გადახდა	(383,416)	(23,685)
ფულადი ნაკადების წმინდა (გადინება)/შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან	(70,957)	710,243
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	152,957	336,897
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	804,062	398,389
ფულადი სახსრების გადაფასების ეფექტი	(21,684)	68,776
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	935,335	804,062

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ჯგუფი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შპს მისო კაპიტალ ექსპრესისა (დედა კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის შპს კაპიტალ ინვესტისთვის (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი“ ან „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“) 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

დედა კომპანია დაარსდა 2012 წლის 20 დეკემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ის რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404434028. დედა კომპანია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“).

დედა კომპანიას ყავს ერთი შვილობილი კომპანია, შპს კაპიტალ ინვესტი, რომელიც ეწევა საინვესტიციო საქმიანობას, ფლობს წილს ორ კომპანიაში. დედა კომპანია კაპიტალ ინვესტის 100%-ს ფლობს.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალ ინვესტს ინვესტიციები ჰქონდა შემდეგ კომპანიებში:

კომპანია	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	საოპერაციო საქმიანობა
შპს ახალი ფინანსური ჯგუფი	12.5%	12.5%	ონლაინ სესხების გაცემა
შპს რაპიდო	16,5%	16.5%	ტექსტილისა და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმწმენდა

ჯგუფი ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე და ძირითადი საქმიანობის ფარგლებში დედა კომპანია მომხმარებელს სთავაზობს: იპოთეკურ, სამომხმარებლო და ბიზნეს სესხებს.

ჯგუფს მართავს პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი. ჯგუფის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბიზნესპოლიტიკას და ნიშნავს დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

ჯგუფის მფლობელებისა და წილობრივი გადანაწილების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის თამარ შარიქაძე.

დედა კომპანიის მისამართია დიდუბის რაიონი, თამარ მეფის გამზირი #7, თბილისი, საქართველო.

ბ) ცვლილებები ქართულ კანონმდებლობაში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც 2018 წლის 1 სექტემბერიდან, სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 50 პროცენტს (ცვლილებამდე საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი შეადგენდა 100 პროცენტს).

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად.

ჯგუფი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება. ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და აქციონერებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შეთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქცითება.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კონსოლიდაციის მიზნებისთვის ელიმინირებული ტრანზაქციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები (ფასს 9) ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა ჯგუფი ჯერ კიდევ აფასებს ფასს 9-ის შესაძლო ეფექტს და ფინანსურ ინსტრუმენტების აღრიცხვას ბასს 39-ის მიხედვით აგრძელებს.

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (ფასს 15) ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, ჯგუფი აღნიშნული თარიღიდან გადავიდა ფასს 15-ზე. ჯგუფის შეფასებით ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე (2018 წლის 1 იანვარი) და შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ფასს 15-ის დანერგვასთან დაკავშირებულ კორექტირებებს.

სხვა ახალ ან შესწორებულ სტანდარტსა და ინტერპრეტაციას, რომელიც პირველად გამოიყენება მომდევნო ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, არ არის მოსალოდნელი, რომ მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ჯგუფზე, რადგან ან შეუსაბამოა ორგანიზაციის საქმიანობისთვის ან საჭიროებს აღრიცხვას, რომელიც ორგანიზაციის სააღრიცხვო შეფასებებთან შესაბამისობაშია.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შედის მომავალ სააღრიცხვო პერიოდში, ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ არ დაენერგა ნაადრევად. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ფასს 16 - იჯარა (ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღია 2019 წლის 1 იანვარი ან შემდგომი პერიოდი).

ფასს 16 - იჯარა. ფასს 16-ის დანერგვის შედეგად ორგანიზაცია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ყველა საიჯარო ხელშეკრულებისთვის ან ხელშეკრულებისთვის, რომელიც შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების ანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

ჯგუფი ჯერ კიდევ აფასებს ფასს 16-ის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ჯგუფის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოშობილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

ჯგუფს არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. ჯგუფს არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს ჯგუფის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშეიღობილ საწარმოებში, ასოციაციებში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრული შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე და მათი რეალური ღირებულების დადგენა სარწმუნოდ შეუძლებელია, წარმოდგენილია თვითღირებულებით, გაუფასურების გამოვლენილი დანაკარგების გათვალისწინებით თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ჯგუფის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი საიმედო განსაზღვრაც შესაძლებელია. იმისათვის, რომ დაადგინოს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, ჯგუფი ძირითადად ისეთ ფაქტორებს განიხილავს, როგორიცაა მისი ვადაგადაცელების სტატუსი და არსებობის შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის რეალიზაციის პოტენციალი.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- ნებისმიერი შენატანზე ვადაგადაცელება და დაგვიანება არ უკავშირდება საანგარიშსწორებო სისტემების შეფერხებულ მუშაობას;
- მსესხებელი მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე იმყოფება, რაც დასტურდება ჯგუფის მიერ მოპოვებული მსესხებლის ფინანსური ინფორმაციით;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- მნიშვნელოვანი ცვლილება არსებობს მსესხებლის მიერ სესხის დაფარვის სტატუსში, რაც ქვეყნის ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებებით არის გამოწვეული და რასაც გავლენა აქვს მსესხებელზე;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება გაუარესებული საბაზრო მდგომარეობის გამო.

გაუფასურების ზარალის გამოთვლა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას იმ ოდენობისას, რაც საკმარისია ზარალის დასაფარად. ანარიცხები იქმნება ინდივიდუალური შეფასებით იმ რისკიანი ფინანსური აქტივებისა ან აქტივთა ჯგუფისთვის, რომელიც არსებითაა ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივი ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ ასეობს, არ იყოს გათვალისწინებული. თუ ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები დაექვემდებარება ხელახალ მოლაპარაკებებს ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან გამცემის ფინანსური სირთულეების მიზეზით, გაუფასურება იზომება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პირობების ცვლილებამდე.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშის გავლით, რომ შეამციროს აქტივის საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დონემდე (რომელიც შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია) დადისკონტირებულს აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას გათვალისწინებულია ფულადი ნაკადები, რომლებიც აქტივის გაყიდვით მიიღება გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით იმის მიუხედავად, მოსალოდნელი არის თუ არა აქტივის გაყიდვა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა/ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ისტორიული ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა	5
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით
არამატერიალური აქტივები	6

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადის თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის კომპანია გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული, როდესაც არის კანონიერი უფლება რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახადო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავს გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდებიან პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებით ან ფინანსური ვალდებულების გადმოცემასთან დაკავშირებით, მაგ.: კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება.

ჯგუფის მიერ მიღებულ სესხთან დაკავშირებული საკომისიო წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს თუ მოსალოდნელია, რომ გააფორმებს გააფორმებს კონკრეტულ საკრედიტო ურთიერთობას და არ ელის სესხის რეალიზაციას მისი წარმოქმნიდან მოკლე პერიოდშივე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც სესხებისა და სხვა ვალის ინსტრუმენტების ამოღება საექვოა, მათი ჩამოწერა ხდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკონტის საფუძველზე აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები, ზოგადად, ტარდება დარიცხვის საფუძველზე კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებით, რომელიც ფასდება ფაქტობრივად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საკომისიო შემოსავლები, რომლებიც წარმოიქმნება მოლაპარაკებებიდან ან მესამე მხარესთან ოპერაციის თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან, მაგ.: სესხების, წილებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე ბიზნესის შესყიდვა ან რეალიზაცია, რომლის გარემოებაც შესაბამისი ოპერაციის აღსრულებისას დგება, ტარდება დასრულებისას.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც ჯგუფის თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6766
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2.5922

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სესხების და მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები

ჯგუფი რეგულარულად აფასებს სესხების პორტფელს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს სესხების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო, თუ საჭიროა, ინდივიდუალური სესხის მომავალ ფულად ნაკადებსაც. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს მსესხებლის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს სესხების პორტფელზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს სესხების პორტფელის გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

მოგების გადასახადი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ჯგუფი საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებითი გადასახადებისა და პროცენტის დარიცხვას. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება იმის მიუხედავად, ჯგუფი დარწმუნებულია თუ არა, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება. ჯგუფი მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული პრობლემული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად, ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ჯგუფი თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისათვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

5. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისათვის, 2017 წელს გაკეთდა ქვემოთ მოცემული რეკლასიფიკაციები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31 დეკემბერი 2017 რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2017 რეკლასიფიცირებული
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	75,672	(22,157)	53,515
არამატერიალური აქტივები	-	22,157	22,157
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საპროცენტო შემოსავალი	1,267,519	(39,439)	1,228,080
სხვა შემოსავალი	234,897	39,439	274,336

6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი	2018	2017
გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	1,573,850	1,228,080
სულ საპროცენტო შემოსავალი	1,573,850	1,228,080
საპროცენტო ხარჯი	2018	2017
ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	(199,827)	(223,492)
ბანკებისგან მიღებულ სესხებზე	(71,685)	(9,194)
იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხებზე	(2,436)	-
სულ საპროცენტო ხარჯი	(273,948)	(232,686)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	1,299,902	995,394

7. სხვა შემოსავალი, წმინდა

	2018	2017
ჯარიმა	264,204	149,758
ადრე დაფარვისა და რესტრუქტურისაციის საკომისიო	47,564	45,305
სესხის გაცემის საკომისიო*	19,983	39,438
სხვა შემოსავალი, წმინდა	11,762	39,835
სხვა შემოსავალი, წმინდა	343,513	274,336

*2017 წლის 17 ოქტომბერს შპს კაპიტალ დეველოპმენტთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში ჯგუფი გასცემდა სესხებს. კერძოდ, ჯგუფი სთავაზობდა იპოთეკით უზრუნველყოფილ სესხს გამარტივებული წესით იმ დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც არ ჰქონდათ საკმარისი თანხა შპს კაპიტალ დეველოპმენტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი კორპუსში ბინების ნასყიდობის ფასის სრულად დასაფარად. გამარტივებული წესი გულისხმობს კრედიტის დამტკიცებას შემოსავლების დადასტურების გარეშე, მხოლოდ უძრავი ქონების შეფასების მიხედვით. სანაცვლოდ კაპიტალ ექსპრესი კაპიტალ დეველოპმენტისაგან იღებდა საკომისიო შემოსავალს. ხელშეკრულება მოქმედებდა 2018 წლის თებერვლამდე.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

8. ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
თანამშრომელთა ანაზღაურება	(376,004)	(382,961)
იჯარა და კომუნალური გადასახადები	(152,390)	(132,682)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება*	(55,382)	(22,650)
ბონუსი	(52,486)	(41,006)
მსესხებლის კრედიტუნარიანობის შემოწმება	(33,141)	(28,469)
ცვთა და ამორტიზაცია	(30,852)	(27,675)
სასამართლოს ხარჯი	(26,360)	(28,437)
საკომისიო	(21,005)	(8,009)
დაზღვევა	(18,488)	(16,272)
კომუნიკაცია	(16,568)	(7,830)
ოფისის ხარჯი	(15,205)	(13,200)
სხვა	(21,852)	(29,752)
სულ ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	(819,733)	(738,943)

*საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტის ხარჯს, რომელიც 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად შეადგენს 19,063 ლარს და 6,800 ლარს დღგ-ს გარეშე.

9. გადასახადები

დროებით სხვაობებში ცვლილებების საგადასახადო ეფექტი აღრიცხული 15%-ანი განაკვეთით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2016	გამოკლებული (დამატებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2017	გამოკლებული (დამატებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2018
15%-იანი დროებითი სხვაობები გამოწვეულია:					
გაცემული სესხებით	16,551	7,908	24,459	68,529	92,988
ძირითადი საშუალებებითა და არამატერიალური აქტივებით	(3,411)	1,110	(2,301)	(656)	(2,957)
მიღებული სესხებით	14,631	(2,077)	12,554	(2,200)	10,354
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	27,771	6,941	34,712	65,673	100,385

მოგების გადასახადის ხარჯი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მიმდინარე მოგების გადასახადი	(94,111)	(75,105)
დროებითი სხვაობების ეფექტი	65,673	6,941
მოგების გადასახადის ხარჯი	(28,438)	(68,164)

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

9. გადასახადები (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია დადგენილი განაკვეთის მიხედვით შემდეგნაირია:

	2018	2017
მოგება დაბეგვრამდე	80,428	404,768
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი	(12,064)	(60,715)
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(16,374)	(7,449)
მოგების გადასახადის ხარჯი	(28,438)	(68,164)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული სალაროში	-	159,207
ფული ბანკში (ლარში)	776,741	65,828
ფული ბანკში (დოლარში)	158,594	579,027
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	935,335	804,062

11. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გაცემული სესხები	4,863,720	4,393,019
დარიცხული პროცენტი	34,540	136,819
სულ გაცემული სესხები გაუფასურებამდე	4,898,260	4,529,838
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(550,905)	(89,093)
სულ გაცემული სესხები	4,347,355	4,440,745

ინფორმაცია გაცემული სესხების უზრუნველყოფების შესახებ 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გაცემული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	531,597	404,569
უზრუნველყოფილი სესხები შემდეგი ქონებით:		
უძრავი ქონება	4,306,630	4,105,124
მოძრავი ქონება და ავტოტრანსპორტი	60,033	20,145
სულ გაცემული სესხები გაუფასურებამდე	4,898,260	4,529,838
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(550,905)	(89,093)
სულ გაცემული სესხები	4,347,355	4,440,745

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია გაცემული სესხების სახეობების შესახებ 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
იპოთეკური სესხი	3,889,719	3,719,941
სამომხმარებლო სესხი	518,346	323,185
განვადება	332,163	276,056
ბიზნეს სესხი	158,032	190,511
ავტო სესხი	-	20,145
სულ გაცემული სესხები გაუფასურებამდე	4,898,260	4,529,838
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(550,905)	(89,093)
სულ გაცემული სესხები	4,347,355	4,440,745

გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიმდინარე	3,996,115	3,890,981
1-30 დღის დაგვიანება	146,890	114,457
31-60 დღის დაგვიანება	104,922	28,747
61-90 დღის დაგვიანება	62,513	97,105
91-180 დღის დაგვიანება	122,441	77,812
181 დღეზე მეტი დაგვიანება	465,379	320,736
სულ გაცემული სესხები გაუფასურებამდე	4,898,260	4,529,838
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(550,905)	(89,093)
სულ გაცემული სესხები	4,347,355	4,440,745

ცვლილებები სესხის გაუფასურების ანარიცხებში 2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	89,093	78,159
სესხების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	636,794	10,934
სესხების ჩამოწერა	(174,982)	-
ნაშთი პერიოდის ბოლოს	550,905	89,093

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

12. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
დასაკუთრებული ქონება	184,751	154,341
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	31,049	-
სხვა	3,153	42,234
სულ სხვა აქტივები	218,953	196,575

13. ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბერს	23,855	24,053	61,165	109,073
შემოსვლა	-	6,755	14,609	21,364
2017 წლის 31 დეკემბერს	23,855	30,808	75,774	130,437
შემოსვლა	-	18,951	11,274	30,225
2018 წლის 31 დეკემბერს	23,855	49,759	87,048	160,662
დაგროვილი ცვეთა				
2016 წლის 31 დეკემბერს	(11,841)	(13,448)	(30,459)	(55,748)
ცვეთა	(3,578)	(5,010)	(12,586)	(21,174)
2017 წლის 31 დეკემბერს	(15,419)	(18,458)	(43,045)	(76,922)
ცვეთა	(3,578)	(12,687)	(5,901)	(22,166)
2018 წლის 31 დეკემბერს	(18,997)	(31,145)	(48,946)	(99,088)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2017 წლის 31 დეკემბერს	8,436	12,350	32,729	53,515
2018 წლის 31 დეკემბერს	4,858	18,614	38,102	61,574

14. ინვესტიციები

კომპანია	წილი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შპს ახალი ფინანსური ჯგუფი	12.5%	60,000	60,000
შპს რაპიდო	16.5%	137,054	137,054
სულ გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები		197,054	197,054

ჯგუფის ხელმძღვანელობა სარწმუნოდ ვერ აფასებს ზემოთ მოცემულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებას. ეს ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურებისას გამოვლენილი დანაკარგების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

15. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხის ძირი	2,474,135	2,344,963
დარიცხული პროცენტი	69,028	83,692
სულ მიღებული სესხები	2,543,163	2,428,655

მსესხებლების მიხედვით მიღებული სესხების შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფიზიკური პირებისგან	1,297,483	1,934,150
ბანკებისგან	961,676	494,505
დაკავშირებული მხარისგან	284,004	-
სულ მიღებული სესხები	2,543,163	2,428,655

ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 11%-დან 15%-მდე ხოლო, დაკავშირებული მხარისგან და ბანკისგან მიღებული სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6%-ს და 9%-ს, შესაბამისად. ანკისგან მიღებული სესხის დაფარვის ვადა 2021 წლის 11 მაისს სრულდება, სხვა სესხების დაფარვის საბოლოო ვადა 2019 წლის 19 დეკემბერია.

ინფორმაცია მიღებული სესხების სახელშეკრულებო ვადებსა და სავალუტო ანალიზის შესახებ მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	2018	2017
საწყისი ნაშთი	2,428,655	1,722,167
ფულადი ნაკადები	(256,717)	495,225
არაფულადი ნაკადები:		
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	273,948	232,462
წმინდა ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან	97,277	(21,199)
საბოლოო ნაშთი	2,543,163	2,428,655

16. საწესდებო კაპიტალი

მეწილეები	წილი	31 დეკემბერი 2018	წილი	31 დეკემბერი 2017
ვლადიმერ შარიქაძე	0%	-	40%	497,176
თამარ შარიქაძე	60%	913,764	20%	248,588
ნინო შარიქაძე	40%	609,176	20%	248,588
ნანი კასრაძე (2017 წლის 24 დეკემბრამდე)*	0%	-	20%	248,588
სულ საწესდებო კაპიტალი	100%	1,522,940	100%	1,242,940

*2017 წლის 24 დეკემბრის შემდეგ ნანი კასრაძის წილის გადანაწილება დარეგულირდა საქართველოს კანონმდებლობით.

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა.

ჯგუფის კლიენტების მხრიდან სესხის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანია იწყებს სასამართლო დავას კლიენტის წინააღმდეგ. ასეთი დავის უმაღლესი შესაძლო შედეგი არის კლიენტისგან მისაღები სესხის თანხის დაკარგვა (მოიცავს დარიცხულ პროცენტს და სხვა ხარჯებს).

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კლიენტის მიერ სასესხო ვალდებულების დაფარვა ხასიათდება განუსაზღვრელობით, ჯგუფი ქმნის ანარიცხს სესხების გაუფასურებისთვის, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია მე-11 განმარტებით შენიშვნაში.

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ. საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ონლაინ სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტების რისკების მართვაში.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დაახარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ჯგუფის საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არა საბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს ისეთი პოლიტიკები და პროცედურები, რომელიც მოიცავს პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის სახელმძღვანელო პრინციპებს და აყალიბებს საკრედიტო კომიტეტს, რომელიც აქტიურ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

ჯგუფის რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელსაც იღებს საკრედიტო პერსონალი მონიტორინგის შედეგად. შემდეგ ინფორმაცია გადის რისკზე დაფუძნებულ შეფასებას საკრედიტო დეპარტამენტის მიერ.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	935,335	644,855
გაცემული სესხები	4,347,355	4,440,745
ინვესტიციები	197,054	197,054
საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	5,479,744	5,282,654

ჯგუფის საკრედიტო რისკი გაცემულ სესხებთან დაკავშირებით მოცემულია მე-11 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ჯგუფი მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია მომდევნო გვერდზე მოცემულ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ჯგუფის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	651,960	1,128,816	1,003,680	2,784,456

ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	844,860	1,250,162	333,633	2,428,655

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

2018 წლის 31 დეკემბრისთვის	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	776,741	158,594	935,335
გაცემული სესხები	3,641,504	705,851	4,347,355
ინვესტიციები	197,054	-	197,054
მთლიანი ფინანსური აქტივები	4,615,299	864,445	5,479,744
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	687,417	1,855,746	2,543,163
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	687,417	1,855,746	2,543,163
ღია საბალანსო პოზიცია	3,927,882	(991,301)	2,936,581

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

2017 წლის 31 დეკემბრისთვის	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	225,035	579,027	804,062
გაცემული სესხები	2,851,070	1,589,675	4,440,745
ინვესტიციები	197,054	-	197,054
მთლიანი ფინანსური აქტივები	3,273,159	2,168,702	5,441,861
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	489,186	1,939,469	2,428,655
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	489,186	1,939,469	2,428,655
ღია საბალანსო პოზიცია	2,783,973	229,233	3,013,206

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზის მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტის 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე და კაპიტალზე გავლენა, ფინანსური ინსტრუმენტების საფუძველზე 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებაზე	(ლარი / აშშ დოლარი)	
	2018	2017
20% ზრდა	198,260	45,847
20% შემცირება	(198,260)	(45,847)

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ჯგუფის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას ჯგუფის შემოსავლებსა ან ხარჯებზე.

19. კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ჯგუფმა გააგრძელოს ფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ ორგანიზაციასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებლები	ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
გაცემული სესხები	-	-	73,455
სხვა აქტივები	-	-	31,049
საპროცენტო შემოსავალი	-	-	4,148
საპროცენტო ხარჯი	(26,841)	-	-
სხვა შემოსავალი, წმინდა	-	-	19,983
ხელფასის ხარჯი (უმაღლესი ხელმძღვანელობა)	-	(85,938)	-

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებლები	ხელმძღვანელობა
მიღებული სესხები	273,979	-
საპროცენტო ხარჯი	(33,986)	-
ხელფასის ხარჯი (უმაღლესი ხელმძღვანელობა)	-	(83,438)

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

21. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ეროვნული ბანკის რეგულაციები - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების - #281/04 მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრიდან ახალი რეგულაციები შედის ძალაში. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით მისოს არ აქვს უფლება გასცეს სესხები მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე. ახალი რეგულაციის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური და მდგრადი ოპერირება და წაახალისოს ჯანსაღი გარემო სესხის გაცემისთვის.

მესაკუთრეთა წილების გადანაწილება - 2019 წელს ჯგუფის მეწილეებს დაემატა ვახტანგ გოკიელი და ვლადიმერ შარიქაძე, შედეგად მესაკუთრეთა წილები ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდა: ნინო შარიქაძე - 30%, თამარ შარიქაძე - 30%, ვლადიმერ შარიქაძე - 30%, ვახტანგ გოკიელი - 10%.

დივიდენდის გაცემა - 2019 წელს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით კომპანიამ გამოცხადა 764,774 ლარის დივიდენდები.

მმართველობის ანგარიშგება

„კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“

2018 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 17 ივნისს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;
- ჯგუფის ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

23 სექტემბერი 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 17 ივნისს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.


აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;
- ჯგუფის ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

23 სექტემბერი 2019



სარჩევი

შესავალი -----	4
საქმიანობის მიმოხილვა -----	5
კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის შესახებ -----	5
კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის მისია, მიზნები და ამოცანები -----	7
კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის ძირითადი პროდუქტები -----	9
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები -----	12
კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის განვითარების გეგმა -----	17
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები -----	18

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში, განხილულია „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ (შემდგომში - „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“ ან „ჯგუფი“) საქმიანობის აღწერა, მომსახურების სტანდარტები და ძირითადი ღირებულებები; დოკუმენტში განხილულია ჯგუფის როგორც განვლილი მიღწევები, ისე მომავალში დასახული მიზნები. ასევე იდენტიფიცირებულია და განხილულია ის ბიზნეს რისკები რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის. „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ მენეჯმენტის მიერ შემუშავებულ „მმართველობის ანგარიშგების“ დოკუმენტში ასახულია მმართველი გუნდის ხედვა, სამომავლო გეგმები და დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფის შესახებ

საქართველოს კანონის "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2012 წლის 22 დეკემბერს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კაპიტალ ექსპრესი“. 2013 წლის 14 თებერვალს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე შპს „კაპიტალ ექსპრესი“ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სარეგისტრაციო ნომრით 0720213 და მიანიჭა მას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი და ამ პერიოდიდან მოყოლებული თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“).

კაპიტალ ექსპრესს (დედა კომპანია) ჰყავს ერთი შვილობილი, კომპანია - შპს „კაპიტალ ინვესტი“ (100% წილის მფლობელი), რომელიც ეწევა საინვესტიციო საქმიანობას. შესაბამისად, წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და მმართველობით ანგარიშგებაში მოხსენიებულია ერთობლივად „ჯგუფი“ ან „კაპიტალ ექსპრესს ჯგუფი“.

„კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ნიშნავს ჯგუფის დირექტორს, მისი ყოველდღიური საქმიანობის ზედამხედველობის მიზნით. აქციების წილობრივი პაკეტი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ორგანიზაციის/ფიზიკური პირის დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი/ პირადი ნომერი	რეგისტრაციის ქვეყანა / მოქალაქეობა	წილი (%)
ნინო შარიქაძე	01017017078	საქართველო	40%
თამარ შარიქაძე	01017010059	საქართველო	60%

„კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ პირველი ფილიალი გაიხსნა თბილისში, თამარ მეფის გამზირზე. ზრდასა და განვითარებასთან ერთად საჭირო გახდა ფილიალის დამატება, ამიტომ 2015 წლის მარტის თვეში გაიხსნა მეორე ფილიალი თბილისში, გლდანის რაიონში.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ხოლო 2018 წლის აპრილის თვეში „ჯგუფმა“ ფილიალი გახსნა აჭარის რეგიონში, კერძოდ ბათუმში. თითოეული ფილიალის ყოველდღიურ საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს ფილიალის მმართველი, რომელსაც ნიშნავს ჯგუფის დირექტორი.


ჯგუფის სტრუქტურა

კაპიტალ ექსპრესის ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2018 წელს დამტკიცებული დედა კომპანიის - ორგანიზაციის სტრუქტურა. იხ. სურათ. N 1

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

- თამარ შარიქაძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
- ნინო შარიქაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- მაია ჭალაგანიძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

N1 - კაპიტალ ექსპრესის ორგანიზაციის სტრუქტურა



ჯგუფის მისია, მიზნები და ამოცანები

„კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ მისიაა: მომხმარებელს შევთავაზოთ მაღალი ხარისხის, სწრაფი და მოქნილი საკრედიტო სერვისი. დახვეწილი საკრედიტო მომსახურების გზით ხელი შევუწყოთ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ასევე მცირე და საშუალო კლიენტების სამომხმარებლო მოთხოვნების უზრუნველყოფას.

ხოლო ძირითადი ამოცანა არის: გამჭვირვალე საკრედიტო სისტემის შექმნის გზით, ხელმისაწვდომი გახდეს მიკრო სესხები ადგილობრივი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის. შესაბამისად, კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის მიზანია იყოს სტაბილურად მზარდი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

„კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“ საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციის აქტიური წევრია. ასოციაცია აერთიანებს ქვეყნის წამყვან მიკროსაფინანსო კომპანიებს და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს წევრი ორგანიზაციების უფლებებისა და ინტერესების დაცვას, კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და სექტორის განვითარებას.

ჯგუფის ღირებულებები

ვაცნობიერებთ რა ჩვენს როლს მიკროსაფინანსო სექტორში, ჩვენს საქმიანობაში ვეყრდნობით ისეთ ღირებულებებს როგორცაა:

- პასუხისმგებლობა - პასუხისმგებლიანი დაკრედიტება, რაც მიზნად ისახავს ჭარბვალიანობის თავიდან აცილებას; სოციალური პასუხისმგებლობა მომხმარებელთა, თანამშრომელთა, ბიზნეს პარტნიორთა, საზოგადოებისა და გარემოს წინაშე;
- გამჭვირვალობა - მომხმარებელს საშუალება აქვს შეადაროს ჩვენი ფასები და პირობები და გაეცნოს მოსალოდნელ საფრთხეებს. „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ ურთიერთობა მომხმარებლებთან, თანამშრომლებთან, ინვესტორებთან და საზოგადოებასთან ეფუძნება გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპებს.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

- პარტნიორობა - გრძელვადიანი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა მომხმარებლებთან და ინვესტორებთან. პარტნიორობთან ურთიერთობისას, „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“ ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს მათ ინტერესები.
- ხელმისაწვდომობა - წარმოადგენს არსებითად მნიშვნელოვან ფაქტორს პროდუქტების შემუშავების და მიწოდების არხების შერჩევის დროს.

გეოგრაფიული არეალი

„კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“ სესხების გაცემას ახორციელებს საქართველოს ორ რეგიონში: ქვემო ქართლი და აჭარა, კერძოდ დაფარვის არეალი მოიცავს შემდეგ ქალაქებს : თბილისი, რუსთავი, მცხეთა, ბათუმი და ქობულეთი.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

1. საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ;
2. საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ;
3. ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი;
4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი;

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ჯგუფის ძირითადი პროდუქტები

„ჯგუფის“ ძირითადი საქმიანობაა მიკრო სესხების (100,000 ლარამდე) გაცემა. „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“ მომხმარებელს სთავაზობს სწრაფ და ხარისხიან ფინანსურ მომსახურებას. მისი ფინანსური პროდუქტებია: ბიზნეს სესხები, იპოთეკური სესხები და სამომხმარებლო სესხები. ჯგუფის საერთო მიზანია მომხმარებლისათვის ფინანსური მხარდაჭერა, როგორც ბიზნეს საქმიანობაში ასევე სამომხმარებლო და უძრავი ქონების ყიდვა, გამოსყიდვასა და განახლება-გარემონტებაში.

პროდუქტი N1 - სამომხმარებლო სესხი (კაპექს კრედიტი)

პოტენციური კლიენტი	მიზნობრიობა	სესხის მოცულობა	სესხის ხანგრძლივობა
საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირები	პირადი სამომხმარებლო მიზნების უზრუნველსაყოფად	300-2000 ლარი	3-24 თვე

პროდუქტი N2- იპოთეკური სესხი/იპო განვადება

პოტენციური კლიენტი	მიზნობრიობა	სესხის მოცულობა	სესხის ხანგრძლივობა
საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები	უძრავი ქონების შეძენა, გამოსყიდვა, განახლება-რემონტი. სამომხმარებლო მიზნებისათვის.	2000-100 000 ლარი	24-84 თვე

პროდუქტი N3-ბიზნეს სესხი

პოტენციური კლიენტი	მიზნობრიობა	სესხის მოცულობა	სესხის ხანგრძლივობა
მცირე და საშუალო ბიზნესის მწარმოებელი რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები	ნებისმიერი ლეგალური ბიზნესის დაწყება ან არსებული ბიზნესის გაფართოება.	2000-100 000 ლარი	24-84 თვე


კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

პორტფელის სტრუქტურულ გადანაწილება პროდუქტების მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, შემდეგნაირია: სულ პორტფელი შეადგენს 4,898,260 ლარს, საიდანაც 3,889,719 ლარი არის იპოთეკური სესხი, 158,032 ლარი არის ბიზნეს სესხი, ხოლო 518,346 ლარი არის სამომხმარებლო სესხი, იპო განვადება - 332,163 ლარი. ამასთან გაუფასურების რეზერვი შეადგენს 550 905 ლარი, შესაბამისად წმინდა გაცემული სესხის ჯამური მოცულობაა - 4,347,355 ლარი.

N1- პორტფელის სტრუქტურა პროდუქტების მიხედვით:



ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ


2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოქმედი (აქტიური) კლიენტები რაოდენობრივად შემდეგნაირად არის გადანაწილებული ფილიალებს შორის: 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფს“ ჰყავს 1,327 აქტიური მსესხებელი, საიდანაც 896 მსესხებელი ეკუთვნის თამარ მეფის(სათაო) ფილიალს, 328 მსესხებელი- გლდანის ფილიალს, ხოლო 103 მსესხებელი-ბათუმის ფილიალს;

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

N 2- კლიენტების რაოდენობა ფილიალების მიხედვით:



რაც შეეხება პორტფელის მოცულობის, გადანაწილებას ფილიალების მიხედვით, ძირითადი დატვირთვა მოდის სათაო ფილიალზე - 2,790,471 ლარი, გლდანის ფილიალი - 1,701,352 ლარი, ბათუმი - 406,437 ლარი¹;

N 3- პორტფელის რაოდენობა ფილიალების მიხედვით:



¹ გაანგარიშება გაკეთებულია გაუფასურების რეზერვის მოცულობის გათვალისწინების გარეშე. ხოლო წმინდა გაცემული სესხების მოცულობა შეადგენს 4 347 355 ლარი.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

- ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	935,335	804,062
გაცემული სესხები	4,347,355	4,440,745
სხვა აქტივები	218,953	196,575
ძირითადი საშუალებები	61,574	53,515
არამატერიალური აქტივები	50,026	22,157
ინვესტიციები	197,054	197,054
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	-	43,479
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	100,385	34,712
სულ აქტივები	5,910,682	5,792,299
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	2,543,163	2,428,655
მიმდინარე მოგების გადასახადი	16,080	-
სხვა ვალდებულებები	48,158	8,937
სულ ვალდებულებები	2,607,401	2,437,592
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	1,522,940	1,242,940
გაუნაწილებელი მოგება	1,780,341	2,111,767
სულ კაპიტალი	3,303,281	3,354,707
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	5,910,682	5,792,299

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საპროცენტო შემოსავალი	1,573,850	1,228,080
საპროცენტო ხარჯი	(273,948)	(232,686)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე	1,299,902	995,394
სესხების გაუფასურების რეზერვი	(636,794)	(10,934)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	663,108	984,460
სხვა შემოსავალი, წმინდა	343,513	274,336
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	(819,733)	(738,943)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	(106,460)	(115,086)
მოგება დაბეგვრამდე	80,428	404,767
მოგების გადასახადის ხარჯი	(28,438)	(68,164)
მთლიანი სრული შემოსავალი	51,990	336,603

კლიენტებზე გაცემული სესხები და ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გაცემული სესხები	4,863,720	4,393,019
დარიცხული პროცენტი	34,540	136,819
	4,898,260	4,529,838
გამოკლებული: საექვო ვალების ანარიცხები	(550,905)	(89,093)
სულ გაცემული სესხები	4,347,355	4,440,745

ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ანარიცხი 1 იანვარისთვის	89,093	78,159
ანარიცხები საექვო სესხებზე	636,794	10,934
სესხების ჩამოწერა	(174,982)	-
საექვო ვალების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	550,905	89,093

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ფინანსური მონაცემები 2018 და 2017 წლის მდგომარეობით:

	2018	2017
საშუალო სესხის პორტფელის ზომა	4,394,050	4,252,972
კაპიტალი ადეკვატურობის კოეფიციენტი	66%	67%
საექვო ვალების ანარიცხები/კლიენტებზე გაცემული სესხები	12.7%	2%
საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი	18.7%	17%
უკუგება აქტივებზე	1%	6%
უკუგება მთლიანი კაპიტალზე	1.6%	10%
პორტფელის მომგებიანობა	36%	29%
საპროცენტო ხარჯები/სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	6.3%	5.2%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	46%	38%
მიმდინარე სასესხო ვალდებულების თანაფარდობა მთლიან კაპიტალთან	77%	72%

- საშუალო სესხის პორტფელის ზომა გაანგარიშებულია შესაბამის წლის საწყისი და საბოლოო პერიოდისთვის არსებული სესხის მოცულობის საშუალო არითმეტიკულით.
- კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი წარმოდგენილია მთლიანი კაპიტალის შეფარდებით რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე. რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებს ჯგუფი განიხილავს როგორც მთლიან აქტივებს გამოკლებული ფულადი სახსრები. აღნიშნული კოეფიციენტი მცირედით არის შემცირებული 2018 წელს ვინაიდან წინა წელთან შედარებით ჯგუფმა გაზარდა სასესხო ვალდებულებები, თუმცა ამავდროულად გაზარდა საკუთარი კაპიტალის მოცულობაც.
- საექვო ვალების ანარიცხების შეფარდება გაცემული სესხების მოცულობასთან გაზრდილია მნიშვნელოვნად, რაც გამოწვეულია ჯგუფის მიერ, სეზ-ის რეკომენდაციების შესაბამისად, აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის უფრო კონსერვატიული მიდგომით აღრიცხვის მეთოდის დანერგვით. თუმცა ამ კუთხით ცვლილებების განხორციელებამ, საშუალება მისცა კაპიტალ ექსპრეს ჯგუფს ადეკვატურად განსაზღვროს საკრედიტო რისკები და მათი მართვის პროცედურები.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

- პორტფელის მომგებიანობა (საპროცენტო შემოსავალი / საშუალო პორტფელი) გაზრდილია მცირედით, რაც გამოწვეულია საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთის მცირედი ზრდით, ძირითადად სამომხმარებლო სესხების ხარჯზე, რომელზეც შედარებით მაღალ საპროცენტო განაკვეთიან პროდუქტს წარმოადგენს.
- ლიკვიდობის კოეფიციენტი გაანგარიშებულია, როგორც ფულადი სახსრების თანაფარდობა მთლიან ვალდებულებებს გამოკლებული ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები 6 თვეზე მეტი ნარჩენი ვადის მქონდე სასესხო ვალდებულება, რაც 2017 წლის 31 დეკემბრის ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის მიხედვით შეადგინა 493 775 ლარი, ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო - 958 711 ლარი. მოცემული კოეფიციენტი აღემატება სებ-ის მიერ განსაზღვრულ მინიმალურ ქვედა ზღვარს(18%-ს). აღსანიშნავია რომ სასესხო ვალდებულებების 70%-ზე მეტი ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რაც კაპიტალ ექსპრეს ჯგუფს მგრძნობიარეს ხდის ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ.
- უკუგება აქტივებზე (მთლიანი სრული შემოსავალი / მთლიანი აქტივები) და უკუგება მთლიან კაპიტალზე (მთლიანი სრული შემოსავალი / მთლიანი კაპიტალი) შემცირებულია მნიშვნელოვნად. რაც განპირობებულია მთლიანი სრული შემოსავლის არსებითი შემცირებით წინა წელთან შედარებით. ძირითადი გავლენა ამაზე იქონია საკრედიტო რისკების პოლიტიკის ცვლილებამ(საექვო ვალების ანარიცხების ზრდა) და სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების გაზრდამ. ჯგუფი იმედოვნებს, რომ შესაძლებელია ახალი გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვის და საოპერაციო ხარჯების შენარჩუნება/შემცირების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებლების ზრდა.
- მიმდინარე სასესხო ვალდებულების თანაფარდობა მთლიან კაპიტალთან გაზრდილია 5% -ლი პუნქტით, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სასესხო ვალდებულების ზრდა განხორციელდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული დაფინანსებით, ჯგუფი გეგმავს აღნიშნული პრაქტიკის გაღრმავებას და ფიზიკური პირებისგან მიღებული სახსრების ჩანაცვლებას გრძელვადიანი სესხებით საფინანსო ინსტიტუტებიდან.

ამასთან ღია სავალუტო პოზიციის შემცირების მიზნით უპირატესობა ენიჭება ეროვნულ ვალუტაში დაფინანსების წყაროებს.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

ჩვენი გუნდი - „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფში“ ამჟამად დასაქმებულია 21 თანამშრომელი, საიდანაც 9 ქალია და 12 მამაკაცი. მას ჰყავს საკმაოდ ძლიერი, ერთგული და გამოცდილი მმართველი გუნდი, როგორც წამყვან, ისე შუალედურ მენეჯერულ პოზიციებზე; ჯგუფის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის მთავარი საყრდენი სამართლიანობა და ობიექტურობაა, რომელთა გამოვლენას კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და სხვადასხვა მამოტივირებელი აქტივობების განხორციელების გზით; ჯგუფი იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი. ჯანსაღი გარემო შრომისათვის აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე, „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. ჯგუფი აცნობიერებს, რომ თანამშრომლები მისი წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ ჯგუფი მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე - კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

კორუფციასთან ბრძოლა - ჯგუფის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. ჯგუფი მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა ჯგუფისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ჯგუფის განვითარების გეგმები

„კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ უმთავრესი მიზანია, კლიენტებისთვის საიმედო საკრედიტო მომსახურების შეთავაზება მათთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებით. არსებული კლიენტების კმაყოფილების გასაზრდელად და ახალი კლიენტების მოსაზიდად, დაგეგმილია:

- ვებ-გვერდზე სხვადასხვა ფუნქციების აქტივიზაცია, მაგალითად დახურული თუ მიმდინარე ვალდებულებების შესახებ ონლაინ ინფორმაციის მიღება (საიტზე პროფილის გვერდზე ავტორიზაციის გავლით.)
- ღია სავალუტო პოზიციის შემცირების მიზნით ფიზიკური პირებისგან უცხოურ ვალუტაში მოზიდული სახსრების დაფარვა. ჯგუფი აქტიურად იმუშავებს დამატებით ფულადი ინვესტიციების მოზიდვაზე ფინანსური ინსტიტუტებიდან.
- ბიზნეს სესხების ზრდა და ახალი საფინანსო პროდუქტების დანერგვა:
 - მომხმარებლებისთვის შეთავაზებული იქნება **ავტო სესხი**, ავტომობილის უზრუნველყოფით:

პოტენციური კლიენტი	მიზნობრიობა	სესხის მოცულობა	სესხის ხანგრძლივობა
საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირები	პირადი სამომხმარებლო მიზნების უზრუნველსაყოფად	2500-25000 ლარი	6-48 თვე

- პირებს, ვისაც სურთ, შექმნან საკუთარი მცირე ან/და საშუალო ბიზნესი, საწყის ეტაპზე ძირითადი თუ საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად შეთავაზებული იქნება **„სტარტაპ სესხი“** - მომხმარებელზე მორგებული პირობებით:

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

პოტენციური კლიენტი	მიზნობრიობა	სესხის მოცულობა	სესხის ხანგრძლივობა
საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი	ბიზნეს საქმიანობის წამოწყება/გაფართოება	2000-100 000 ლარი	24-120 თვე

- საკრედიტო რისკების ოპტიმიზაციის მიზნით, იგეგმება ახალ ფინანსურ პროდუქტებზე („ავტო სესხი“ და „სტარტაპ სესხი“) შეიქმნას საერთო რეზერვი, 10% ოდენობით. ამასთან, სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვის შემცირება ჯანსაღი დაკრედიტების პრინციპების და პრობლემურ კლიენტებთან ინდივიდუალური მუშაობის პროცედურების გაუმჯობესების გზით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტის საერთო მიზანია, შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ, კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობის შეინარჩუნებისკენ. გამოვყოფდით რამდენიმე ფაქტორს როგორც პოტენციურ რისკებსა და გაურკვევლობებს, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ ჯგუფის წარმატებით ფუნქციონირებასა და სტაბილურ ზრდა-განვითარებაზე;

საკრედიტო რისკი - წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ჯგუფის საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს პოლიტიკები და პროცედურები. ჯგუფი რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას.

საბაზრო რისკი - არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

სავალუტო რისკი - წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კაპიტალ ექსპრესის ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე და შიდა ინფლაციის განაკვეთზე. ჯგუფს გააჩნია სესხები, როგორც ლარში, ასევე დოლარში .

ლიკვიდურობის რისკში - იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ჯგუფი ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც ასევე აქტივების და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

კონკურენცია. საქართველოს ბაზარი საკმაოდ გაჯერებულია ისეთი მომსახურებით რასაც „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“ სთავაზობს თავის მომხმარებლებს. შედეგად ყოველმა არასწორმა გადაწყვეტილებამ შეიძლება უარყოფით გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე.

პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ყოველთვის უარყოფით გავლენას ახდენს მომხმარებელზე. შესაბამისად, მსგავსი რისკები ყოველთვის გასათვალისწინებელია საქართველოსთვის და მსგავსი ქვეყნებისთვის.

ინფორმაციული უსაფრთხოება. 21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მომატებული კიბერ შეტევები და „ფიშინგის“ მცდელობები. დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, შესაბამისად ჯგუფი არ ივიწყებს მოსალოდნელ თავდასხმის მცდელობებს და ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს აწესებს კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის მასშტაბით.. ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ტარდება თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები. ასევე ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია მკაფიოდ და მკაცრად გაწერილი ინსტრუქციებით, თუ როგორ უნდა მოიქცეს ნებისმიერ საეჭვო სიტუაციაში.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა. ჯგუფი ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამოიცილოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“-სათვის პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში ჯგუფი მიმართავს შესაბამის ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. გარდა ამისა, ჯგუფი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ საქმიანობის ხელშეწყობით.

„კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

უფლებამოსილი პირი _____ ნ.ოსეფაშვილი

მმართველობის ანგარიშგება

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა. ჯგუფი ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“-სათვის პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში ჯგუფი მიმართავს შესაბამის ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. გარდა ამისა, ჯგუფი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ საქმიანობის ხელშეწყობით.

„კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის“ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

უფლებამოსილი პირი

ნ.ოსეფაშვილი

